

"საქართველოსთან პარტნიორობის განვითარების პლატფორმა"

მაისი 2010 – ივლისი 2011. დაფინანსებულია ფრიული ვენეცია ჯულიას რეგიონის (იტალია) მიერ, განხორციელდა მონფალკონეს მუნიციპალიტეტის (იტალია) ხელმძღვანელობით

აღნიშნული პროექტის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში და იტალია – საქართველოს პარტნიორული ურთიერთობების განვითარება. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა საქმიანობები იქნა განხორციელებული:

- ექსპერტების მიერ ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემატიკის შესწავლის მიზნით ჩატარდა იმერეთის რეგიონის ბიზნესის სექტორის კვლევა და თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით შპს-ით ანალიზი.
- კვლევის შედეგების შესაბამისად მომზადდა ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამა, ტრენინგ-მოდულები და ბიზნეს პუბლიკაციები.
- იმერეთის მხარეში ჩატარდა 25 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც 284 მონაწილე დაესწრო.
- იმერეთის რეგიონის ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ ბიზნესის მართვის უნარები და ამასთანავე მიიღონ კონკრეტული კონსულტაციები სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად.
- პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს იტალიელი და ქართველი პარტნიორების ბიზნეს ურთიერთობის დამყარებას, გაცვლით ვიზიტებს და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.